

# 5 ივლისს თბილისის იპოდრომზე

**არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი და ვ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბი ატარებენ**



# დიდ საავიაციო-სპორტულ დღესასწაულს

★ ★

ხვალ, თბილისის იპოდრომზე ჩვენს დედაქალაქში პირველად გაიმართება დიდი საჰაერო სპორტული დღესასწაული. თბილისის ცაზე მაყურებლებს თავიანთ ოსტატობას აჩვენებენ ავიაციის ოსტატები — მფრინავები, პლანერისტები, პარაშუტისტები.

ჩვენი კორესპონდენტი ეწვია არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი ორგანიზაციის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. ჯანჯღავას და თხოვა მოეთხრო ზეიმის პროგრამისა და მონაწილეთა შესახებ.

— ღონისძიება მიზნად ისახავს საჰაერო სპორტის შემდგომ პოპულარიზაციას, რისთვისაც თბილისის ავიასპორტკლუბის სპორტსმენთა გარდა დღესასწაულში მონაწილეობისთვის მოწვეული არიან მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონები და რეკორდსმენები, ვ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საუკეთესო წარმომადგენლები.

თბილისელები ნახავენ სპორტის ოსტატების მოსეიჩუკისა და ვოლოვენის შესანიშნავ ნომერს — „ნესტეროვის მარყუჟს" ორი თვითმფრინავით. ეს სპორტსმენები განთქმული ავიაგამომცდელები არიან. ნომრის სირთულეს ადასტურებს ის, რომ მისი შესრულებისას თვითმფრინავები ჰაერში ერთმანეთს მიუახლოვდებიან ერთნახევარ-ორ მეტრზე.

მათ გარდა მაყურებლები ნახავენ თვითმფრინავებითა და პლანერებით საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის, სპორტის ოსტატ შიხინას, არაერთი საჰაერო პარადისა და საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეების ჟუკოვის, სემიონოვის, ტერებულოვის, კლიმოვის, გამოსვლებს, აგრეთვე შაროვის, პოდოშვას, ბუდიმასა და სხვების მიერ შესრულებულ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ფრენას ვერტმფრენებითა და პლანერებით.

თბილისის ცის „ასპარეზი" ფართოდ დაეთმობა პარაშუტისტებს. ისინი განახორციელებენ ვარჯიშებს ტრაპეციაზე, ინდივიდუალურ და ჯგუფურ, აკრობატულ და ფიგურულ ხტომებს. მოეწყობა ერთი პარაშუტიით ორი სპორტსმენის გადმოხტომა, ჰაერში პარაშუტების შეცვლა. ხტომებში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ათგზის რეკორდსმენი და მსოფლიო ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორი ანიკეევი, რომელსაც უკვე შესრულებული აქვს 1.600 ნახტომი, მსოფლიოს ხუთგზის რეკორდსმენი, 700 ნახტომის „ავტორი" ფადეევი, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი სელივესტროვა, მსოფლიოს რეკორდსმენი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი კაზაკოვი, მსოფლიოს რეკორდსმენები სალდაძე, მარინინა, შნიტოვა, ოსტატები ბამრეკელაშვილი, ბოზიაშვილი და მრავალი სხვ.

მაშინ, როცა ახალი ნომრის მომზადებამდე ცაზე დროებით შეწყდება მოტორების გუგუნი, იპოდრომის რკალზე გამოვლენ სპორტის ტექნიკურ სახეობათა წარმომადგენლები — ავიამოდელისტები, ავტომობილისტები, მოტოციკლისტები, მოეწყობა შეჯიბრება კარტინგებით.

ველოდებით ბევრი საპატიო სტუმარიც. სხვებთან ერთად ჩვენს ზეიმს დაესწრება საბჭოთა კავშირის ავიაციის მთავარი მარშალი ნ. ს. სკრიპკო.

იპოდრომამდე მოქალაქეთა გადაყვანის უზრუნველსაყოფად თბილისის საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველომ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება. ტრანსპორტს დაემატა ახალი მარშრუტები. ერთი სიტყვით, საჰაერო-სპორტული ზეიმის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის ყველაფერი გაკეთდა.

ზეიმი იპოდრომზე დაიწყება 12 საათზე.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 130 (2493) ◉ შაბათი, 4 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

# ოლიმპიური სპორტული ლატარია

**პრეს-კონფერენცია ჟურნალისტების ცენტრალურ სახლში**

მოსკოვი (ტელეფონით). აქ შედგა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ჩვენი ქვეყნის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. დ. მაშინმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ცენტრალური საბჭო მიმდინარე წელს ატარებს ფულისა და ნივთების მოგებათა ოლიმპიურ სპორტულ ლატარიას.

ლატარიაში გათამაშდება 60 ავტომანქანა „მოსკვიჩი" და „ზაპოროჟეცი", 600 მოტოციკლეტი და მოტოროლერი, 1.800 ბაიდარა, 3.000 ველოსიპედი და სხვა სპორტული ინვენტარი.

მთავარ მოგებათა რიცხვშია 180 ტურისტული საგზური საერთაშორისო შეჯიბრებებზე ნორვეგიაში, ფინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საბერძნეთში, ინგლისსა და დანიაში.

ლატარიის ბილეთების გაყიდვა დაიწყება 15 ივლისს და დამთავრდება 10 ოქტომბერს. ლატარიის თვითეული ბილეთის ღირებულებაა 30 კაპიკი. ტირაჟი შედგება მოსკოვში 1964 წლის 14 ოქტომბერს. ბილეთებს გაავრცელებენ ჩვენი ქვეყნის სპორტული ორგანიზაციები, ფიზკულტურული აქტივისტები.

ფულისა და ნივთების ოლიმპიური სპორტული ლატარიის მომწყობი კომიტეტის შემადგენლობაში არიან სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების პასუხისმგებელი მუშაკები, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. კომიტეტში შედიან ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სპორტსმენები — იური ვლასოვი, ვალერი ბრუმელი, ლევ იაშინი და სხვები.

თვითეული ფიზკულტურელი, თვითეული სპორტსმენი უნდა გახდეს ოლიმპიური სპორტული ლატარიის აქტიური მონაწილე. ლატარიის გავრცელების შედეგად შემოსული თანხა მოხმარდება ახალი სასწავლო-საწვრთნელი და სპორტული ბაზების მშენებლობას.

## თამაშებს ნახავს მთელი მსოფლიო

იაპონიის რადიომაუწყებლობის კორპორაციის პრეზიდენტი ს. აბე ახლახან დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც იგი სპეციალურ მოლაპარაკებას აწარმოებდა ამ ქვეყნის ხელისუფლებთან. ს. აბემ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ აგვისტოში გაშვებული იქნება დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „სინკომი 3", რომლის მეოხებით რეგულარულად იწარმოებს ტელეგადაცემა ტოკიოს ოლიმპიადიდან.

პირდაპირი გადაცემები მოეწყობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და აღმოსავლეთ ევროპაში კი — რეტრანსლაციით.

## ჯილდო საუკეთესოებს

ჩვენი ქვეყნის სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ შეაჯამა სპორტნაგებობათა გასული წლის კონკურს-დათვალიერების შედეგები. ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის კარგად დაყენებისთვის გარდამავალი წითელი დროშებით, ვიმპელებით და სიგელებით დაჯილდოვდა 46 ნაგებობა.

გამაჯანსაღებელი მუშაობის კარგად წარმართვისათვის ცენტრალური საბჭოს სიგელებით დაჯილდოვდნენ თბილისის სპორტული კომბინატი „დინამო", თბილისის „განთიადის" საცურაო აუზი და თბილისის სპორტკავშირის საცურაო აუზი.

ცენტრალურმა საბჭომ მიმდინარე წლის შეჯიბრებაში გამარჯვებულებისათვის დააწესა 5 გარდამავალი წითელი დროშა და 20 ვიმპელი. იმ ნაგებობათა თანამშრომლებს, რომლებიც კონკურს-დათვალიერებაში დაიკავებენ I, II და III ადგილებს, მიეცემათ ფულადი ჯილდო.

## სიმბოლური ნაკრები

34 ქვეყნის ფეხბურთის მიმომხილველებმა ევროპის ქვეყნების ფეხბურთელთა ნაკრებისა და საკლუბო გუნდების 2 წლის გამოსვლების საფუძველზე შეადგინეს კონტინენტის სიმბოლური ნაკრები, რომელშიც შევიდნენ: მეკარე — იაშინი (სსრ კავშირი); მცველები — ზილენი (ბელგია), ბუარნერი (იტალია), შნელინგერი (გფრ), ფაკეტი (იტალია); ნახევარმცველები — ვორონინი (სსრ კავშირი) და სუარესი (ესპანეთი); თავდამსხმელები — ამანსიო (ესპანეთი), ეუსებიო (პორტუგალია), ვან ჰიმსტი (ბელგია) და კორსო (იტალია).

სიმბოლურ ნაკრებში შესული ყოველი მოთამაშე მიიღებს ფეხბურთელის ოქროს ფიგურას.

## მესამე მატჩი — გამარჯვება

იუგოსლავიისა და სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდების მესამე მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მას მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა დაესწრო ქ. ხერცეგნოვის საწყლოსნო აუზში.

შეხვედრა დაიწყო მასპინძლების მძაფრი შეტევით და უკვე პირველსავე წუთზე საბჭოთა გუნდის მეკარე გოგოლაძემ შეძლო 2 უძლიერესი დარტყმის მოგერიება. მეორე პერიოდში გოგოლაძემ კვლავ ისახელა თავი, როცა მოიგერია თითქმის აუღებელი ბურთი, რომელიც ჩვენს კარში ტყორცნა სტანეშიჩმა.

ანგარიში იანკოვიჩმა გახსნა, მაგრამ ამას მოჰყვა კურენოის მიერ ორი ზუსტად ნატყორცნი ბურთი, რომელმაც ჩვენს ნაკრებს გამარჯვება მოუტანა — 2 : 1.



◆ ოსლო. მსოფლიო რეკორდსმენმა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ბელგიელმა გ. გულანტსმა, რომელიც ოსლოში გამოდიოდა ნორვეგიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მძლეოსანთა მატჩზე, მანძილის დაფარვას მოანდომა 8.31,8. ასეთი შედეგი წელს მსოფლიოში არავის უჩვენებია.

◆ მოსკოვი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტში გაიმართა პრეს-კონფერენცია მიძღვნილი ძმები ზნამენსკების სახელობის მემორიალისადმი. პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, რომ შეჯიბრებაში გამოვა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა — 400 საბჭოთა და 100 საზღვარგარეთელი მძლეოსანი.

◆ მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი და გროსმაისტერი პ. კერესი დღეს გაემგზავრებიან არგენტინაში დიდ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე, რომელიც ბუენოს-აირესში გაიმართება. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე სხვა რვა ცნობილი გროსმაისტერი.

## რეკორდი ოსტატის შედეგით

თბილისში გამართულ საქართველოს განათლების სამინისტროს მოცურავეთა ნაკრები გუნდის შერჩევით შეჯიბრებაზე შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის ა. საფრონოვის აღსაზრდელებმა ნ. ჰუმბაძემ და ვ. ანიკინამ.

ნ. ჰუმბაძემ 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში მანძილი დაფარა 1 წუთსა და 16 წამში, რითაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. მისი ეს მაჩვენებელი საქართველოს ახალი რეკორდია გოგონებისა და ქალებისათვის.

გოგონათა ახალი რესპუბლიკური რეკორდით აღინიშნა ვ. ანიკინას გამოსვლაც. მან 100 მეტრი ბრასის სტილით გაცურა 1 წუთსა და 26,5 წამში,



# ყოველთვის პირველი

ბურთი შურდულივით მიდის კარისაკენ.

არაფერია, ძელს ჩაუვლის, — ფიქრობს მეკარე. ასე ჰგონია მაყურებელსაც. ბურთი, თუ ტრაექტორიის რაღაც კანონი არსებობს, აუტში უნდა გავიდეს, მაგრამ... სასწაული ხდება. უკანასკნელ მომენტში იგი კარისკენ უხვევს და ბადეში ეხვევა. მეკარე გაკვირვებულია, მაყურებელი—განცვიფრებული.

ასეთია ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის, სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრების მოთამაშის გივი ჩიქვანაიას ბურთის გატანის ტექნიკა.

... ეს იყო რომის ოლიმპიადაზე, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდების მატჩის დროს. გამარჯვების შემთხვევაში იუგოსლაველებს გზა ეხსნებოდათ ოქროს მედლებისკენ, რადგან ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა იტალია — უნგრეთის თამაში. ჩვენებს მატჩის მოგება ვერცხლის მედლებს აძლევდა. ამიტომ თამაში ძალზე დაძაბული გამოდგა. მატჩის პირველ ნახევარში მეტოქეებმა 2-2 ბურთი გაიტანეს. შესვენების შემდეგ ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა, ორივე გუნდს ძალზე წყუროდა და ჰაერივით ესაჭიროებოდა გამარჯვება. და აი, გ. ჩიქვანაიას ძლიერად ნატყორცნმა ბურთმა წერტილი დაუსვა მატჩის ბედს — 4:3. გაიმარჯვეს ჩვენმა სპორტსმენებმა.

ქართველი წყალბურთელის გატანილი გოლი მსოფლიოს პრესამ „ვერცხლის ბურთად“ მონათლა, რომის ოლიმპიურ თამაშებზე საუკეთესო ტექნიკისთვის გ. ჩიქვანაია მსოფლიოს იდეალურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. კიდევ უფრო დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა გივის თამაშის ტექნიკა და ტაქტიკა. მრავალი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში მონაწილეობა, ბევრი სპეციალური ჯილდო საუკეთესო თამაშისათვის...

პირველი დიდი სპორტული ნათლობა გ. ჩიქვანაიამ თბილისში მიიღო, 1956 წელს რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალის დროს. მაშინ იგი თავისი მშობლიური ქალაქის — ქუთაისის წყალბურთელთა გუნდში გამოდიოდა. მისმა კოლექტივმა მაშინ არც თუ ისე წარმატებით ითამაშა, მაგრამ გივის ნიჭი ყველამ შენიშნა. იგი თბილისის „დინამოს“ გუნდში ჩარიცხეს, ერთი წლის შემდეგ კი საქართველოს ამ წამყვანი კოლექტივის ძირითადი მოთამაშე გახდა. კიდევ მცირე დრო გავიდა და გივი სსრ კავშირის ნაკრების აღიარებული წევრი გახდა.

**ზ. ჯანდიერი**

* * *

ბათუმში მოწყობილ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა წინასაოლიმპიადო ტურნირში საუკეთესო ნახევარმცველად აღიარებულ იქნა გ. ჩიქვანაია.

**სურათზე** თქვენ ხედავთ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს გ. ჩიქვანაიას სპეციალური პრიზის მიღებისას.

## ჩვენი ოლიმპიელები

# ცეცხლის ხაზზე — 606

„განთიადის“ ცენტრალურმა საბჭომ ჩაატარა თბილისის ორგანიზაციების შეჯიბრების I ტური მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. ღონისძიებაში, რომელიც ერთ თვეს გრძელდებოდა, მონაწილეობა მიიღო 94 კოლექტივის 606 სპორტსმენმა. კარგად გამოვიდნენ კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის მსროლელები. მათ 1.800 შესაძლებლიდან 1667 ქულა მოაგროვეს და ხელთ იგდეს ლიდერობა. დაწინაურებულებს 32 ქულით ჩამორჩება ავტომატიზაციის კვლევითი ინსტიტუტის გუნდი. შეჯიბრების საბოლოო შედეგები გამოირკვევა მეორე ტურის შემდეგ, რომელიც ოქტომბერში გაიმართება.

სამწუხაროდ, I ტურში ცუდად ორგანიზებული, მოუმზადებელი გუნდები გამოიყვანეს მე-7 სამკერვალო ფაბრიკამ, ღვინის 1-ლმა და მე-2 ქარხნებმა, მე-4 მექანიკურმა ქარხანამ და სხვებმა.

**მ. კაჭკაჭიშვილი,**
საზოგადოებრივი მსაჯი.

# შეჯიბრება დაუმარცხებლად

„განთიადის“ კალათბურთელთა საოლქო პირველობაზე მონაწილეობდნენ ცხინვალის ემალსადენის, მექანიკური ქარხნების, საამშენებლო სამმართველოს, ხე-ტყისა და პურის კომბინატების გუნდები. შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა და პირველი ადგილი დაიკავა პურკომბინატის გუნდმა.

**ვ. მელქოევი**

ცხინვალი.

# ზერელე დამოკიდებულების გამო

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ჭაბუკ სამბისტთა პირად-გუნდურმა პირველობამ მხოლოდ სამი კოლექტივი შეკრიბა — „დინამო“, „განთიადი“ და „ლოკომოტივი“. ამ გარემოებამ საერთო პირველობისათვის ბრძოლას თავიდანვე დაუკარგა ინტერესი. გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი სპორტსაზოგადოების უსულგულო დამოკიდებულება სამბისტთა აღზრდისადმი. ჩვენს რესპუბლიკას სპორტის ამ სახეობაში დიდი ტრადიციები აქვს და მის შესანარჩუნებლად ყველა ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს. გამოჩენილ ფალავნებს ახლავე თუ არ ამოუდგნენ მხარში ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, რესპუბლიკამ შეიძლება დაკარგოს წამყვანი პოზიციები.

თბილისის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: ვ. ლაშხმა, ი. ჭუცნიაშვილმა, ს. ჩადუნელმა, გ. ბარძემაშვილმა, შ. ბექაურმა, ი. სისაურმა, რ. ოდიშელიძემ (ყველანი „დინამოდან“), ვ. ზუკაკიშვილმა, თ. ჯიქარტაძემ (ორივენი „განთიადიდან“) და გ ბედოევმა („ლოკომოტივი“). გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა „დინამოს“, მეორე — „განთიადს“.

**უ. მოსეშვილი,**
სპორტის ოსტატი.

# საწარმოს ფონს აძლევს ხელმძღვანელი

იური ვალაბუევი დიდი სპორტიდან მოვიდა ჯერ მალაროებში, შემდეგ კი მეტეხის საშენ მასალათა კომბინატში. ამ ადამიანის მაღალი, ძარღვიანი, მოქნილი ფიგურა კარგად ახსოვთ ოცდაათიანი წლების გულშემატკივრებს. 1936—1939 წლებში იგი საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდა რესპუბლიკის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

შემდეგ ვეტერანი სპორტსმენი, როგორც იტყვიან, „ჰორიზონტიდან“ გაქრა და მხოლოდ ჩავლილი ბობოქარი წლების მიღმა „ამოყო“ თავი. მაგრამ ამჯერად ი. ვალაბუევი ახალი სახით მოევლინა მისი უნარის თაყვანისმცემლებს, მოევლინა როგორც ბეჯითი, მშრომელი ადამიანი, წარმოების ხელმძღვანელი-ორგანიზატორი.



მეტეხის საშენ მასალათა კომბინატი, რომლის დირექტორია ამჟამად რესპუბლიკის ფრენბურთის ვეტერანი, მხოლოდ გამრჯე მშრომელებით როდია ცნობილი. ფიზიკური კულტურა და სპორტი საწარმოს მუშამოსამსახურეთა ყოველდღიურობაშია დამკვიდრებული და მათი სიხალისის, წრთობის, გართობის წყაროდაა ქცეული.

საწარმოს ფიზკულტურული კოლექტივი მაინცდამაინც არაფრით გამოირჩეოდა კასპის რაიონის სხვა კოლექტივებისგან, სანამ აქ ახალი ხელმძღვანელი მოვიდოდა. ი. ვალაბუევის მოსვლამ ერთხელ კიდევ დაადასტურა უტყუარი ჭეშმარიტება, რომ საწარმოსა თუ დაწესებულებაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონე დიდადაა დამოკიდებული მისი მესვეურის „რაობაზე“.

სულ მალე დირექტორსა და კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორს ო. ალაძეს შორის ერთობ საქმიანი საუბარი გაიმართა.

— სპორტი პირველ რიგში უნდა დამკვიდრდეს ჩვენთან! — თქვა საუბრის დასასრულს ი. ვალაბუევმა, — და ეს, პირველ რიგში, რაიონის ასპარეზებზე უნდა გამოჩნდეს.

დაიწყო იმით, რომ კომბინატში დაუყოვნებლივ იზრუნეს სპორტულ ბაზებზე. ახლა საწარმოს „საკუთრებაში“ აქვს ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, საჭიდაო დარბაზი, მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკში სამეცადინო ოთახები.

გაგრძელდა იმით, რომ სულ უფრო და უფრო გაიზარდა სექციებში მომეცადინე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. დღეისათვის კომბინატს 80 მოჭიდავე, 30 ფრენბურთელი, ამდენივე კალათბურთელი და 23 მაგიდის ჩოგბურთელი ჰყავს (არაფერს ვამბობთ ჭადრაკის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებზე).

დაბოლოს, დაგვირგვინდა იმით, რომ მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის სპორტსმენებმა კასპის რაიონში პირველი ადგილები დაიმკვიდრეს ქართულ ჭიდაობაში, ფრენბურთსა და კალათბურთში, ხოლო მეორე — მაგიდის ჩოგბურთში. აღსანიშნავია, რომ ქართული სტილის მოჭიდავეთა ახლახანს ჩატარებულ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე კასპის რაიონის სპორტულ ღირსებას თითქმის მთლიანად კომბინატელი სპორტსმენები იცავდნენ.

ალბათ, ზედმეტიცაა იმის თქმა, რომ საწარმოს ამ ჩინებულ სპორტულ მაჩვენებლებში დიდი წვლილი მიუძღვის მისი ხელმძღვანელის უშუალო, კონკრეტულ დახმარებასაც.

სამწუხაროდ, კომბინატში ჯერ კიდევ ღრმად არ აქვს გადგმული ფესვი საწარმოო ტანვარჯიშს. იგი მხოლოდ მექანიკურ საამქროშია დანერგილი. მაგრამ ის გარემოება, რომ აქაურ ფიზკულტურულ კოლექტივში კარგად ესმით საწარმოო ტანვარჯიშის დიდი მნიშვნელობა, ხარვეზის აღმოფხვრის კარგი გარანტიაა.

**შ. ვადაჭკორია**
(ჩვენი სპეც. კორ.).

კასპის რაიონი.

# რატომ აარიდეს თავი?

სპორტული ცურვის ცენტრს ბათუმში „სპარტაკის“ აუზი წარმოადგენს. მართალია, მისი კეთილმოწყობა ჯერ არ დამთავრებულა (დასამთავრებელია გასახდელები, დამხმარე სათავსოები, ფილტრი, ქლორატორი, წყლის გათბობა), მაგრამ უკვე ჩატარდა მთელი რიგი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებანი. ამ დღეებში აქვე გაიმართა საქართველოს სპორტკავშირის პრიზის მეხუთე გათამაშება ცურვაში. თუ წინა ამგვარი სტარტები გამოირჩეოდა მონაწილეთა სიმრავლით, ბრძოლის სიმწვავითა და მაღალი მაჩვენებლებით, სამწუხაროდ, ამჟამად ასე არ იყო.

გაკვირვებას იწვევს შეჯიბრებისადმი ზოგიერთი სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელთა დამოკიდებულება. კერძოდ, სპორტსმენთა მივლინება ვერ შეძლეს „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „შრომითი რეზერვებისა“ და „კოლმეურნის“ საბჭოებმა. „ბურევესტნიკის“ ხელმძღვანელობამ სპორტსმენების სტუდენტთა საკავშირო თამაშებისთვის მზადებით იმართლა თავი, მაგრამ აქ, ეტყობა, ავიწყდებათ, რომ სამზადისში ყველაზე კარგ როლს სწორედ შეჯიბრებებში მონაწილეობა თამაშობს.

ამრიგად, პრიზის გათამაშებაზე მხოლოდ „დინამოს“, „განთიადისა“ და არმიელთა სპორტული კლუბის 41-მა მოცურავემ მოიყარა თავი და, ცხადია, ბრძოლების არავითარ სიმწვავეზე, მაღალ შედეგებზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი. არ გაუმჯობესებულა არც ერთი რესპუბლიკური რეკორდი. უკვე ფინალურ გაცურვებამდე აშკარა იყო თუ ვინ იქნებოდნენ პრიზიორები, ვინაიდან ზოგიერთ სახეობაში მხოლოდ 2-3 სპორტსმენი გამოვიდა სტარტზე (400 მეტრზე კომპლექსური ცურვა ვაჟებისა და ქალებისათვის, 100 მეტრზე ბატერფლაით ქალთა შორის).

შეჯიბრებაში ერთგვარი სიმწვავე შეიტანეს ვორკუტელმა მოსწავლეებმა, რომლებიც ბათუმში იმყოფებიან შეკრებაზე და ტურნირში კონკურსგარეშე ცდიდნენ ძალებს. სწორედ მათ დაისაკუთრეს პირველობა 100 და 200 მეტრზე ბრასით, აგრეთვე 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალთა შორის, რაც ჩვენი მოცურავეების სუსტ მომზადებაზე მეტყველებს.

საქართველოს სპორტკავშირის პრიზი თითქმის უბრძოლველად დაისაკუთრეს დინამოელებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა „განთიადი“.

**ბ. კამინსკი,**
სპორტის ოსტატი.





**შეჯიბრების ტექნიკური შედეგები ასეთია:** ქალები — 100 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — რ. არკადიევა („დინამო“) 1.12,5 და 5.57,3 შესაბამისად. 100 მეტრზე დელფინის სტილით ცურვა — ხ. შაგოვა („დინამო“) 1.25,0. 100 მეტრზე ზურგზე ცურვა და 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა — ნ. ჩუგუევსკაია („დინამო“) 1.21,3 და 6.17,0 შესაბამისად; ვაჟები — 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — ბ. ნიკიტინი („დინამო“) 59,9, 100 მეტრზე დელფინის სტილით ცურვა — ბ. ნიკიტინი 1.06,5, 100 მეტრზე ზურგზე ცურვა — ბ. კამენსკი („დინამო“) 1.10,2, 200 მეტრზე ზურგზე ცურვა — ბ. კამენსკი 2.34,8, 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვა — ვ. ჟუკოვი („განთიადი“) 1.16,6, 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვა — კ. ონისიმოვი („დინამო“) 2.51,6, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — ხ. კრავცოვი („დინამო“) 5.06,0, 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — ხ. კრავცოვი 20.16,4.

**სურათებზე:** ქვევით — პრიზის მფლობელი „დინამოს“ გუნდი. ზევით — ბ. ნიკიტინმა დაამთავრა დისტანცია.

ფოტო ა. ტულუშისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: მომენტი გროზნოს „თერგისა" და ბათუმის „დინამოს" მატჩიდან. დინამოელთა თავდამსხმელი ზ. დანელია თავით აგზავნის ბურთს მოწინააღმდეგის კარისკენ.

ფოტო ა. ტულუშისა.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### „ა" კლასი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 4 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შახტიორი" (დონეცკი) | 12 | 6 | 5 | 1 | 16—5 =+ 11 | 17 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 11 | 6 | 2 | 3 | 15—4 =+ 11 | 14 |
| „დინამო" (კიევი) | 12 | 4 | 6 | 2 | 13—10=+ 3 | 14 |
| სკა (როსტოვი) | 11 | 6 | 1 | 4 | 15—8 =+ 7 | 13 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 10 | 5 | 3 | 2 | 15—9 =+ 6 | 13 |
| „დინამო" (თბილისი) | 11 | 5 | 3 | 3 | 15—10=+ 5 | 13 |
| „ვოლგა" (გორკი) | 12 | 4 | 5 | 3 | 8—11=— 3 | 13 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 13 | 3 | 6 | 4 | 5—10=— 5 | 12 |
| ცსკა | 10 | 3 | 5 | 2 | 7—8 =— 1 | 11 |
| „კაირატი" (ალმა-ატა) | 13 | 3 | 5 | 5 | 11—14=— 3 | 11 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 12 | 3 | 5 | 4 | 8—13=— 5 | 11 |
| „დინამო" (მინსკი) | 10 | 3 | 4 | 3 | 6—6 = 0 | 10 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 12 | 4 | 2 | 6 | 6—10=— 4 | 10 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 9 | 3 | 3 | 3 | 12—9 =+ 3 | 9 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 12 | 3 | 2 | 7 | 6—18=— 12 | 8 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 10 | 2 | 2 | 6 | 10—16=— 6 | 6 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 10 | 1 | 3 | 6 | 6—13=— 7 | 5 |

* * *

ცსკა — „დინამო" (მოსკოვი) — 1:1

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) — 0:4

„დინამო" (მინსკი) — „ვოლგა" (გორკი) — 0:1

„დინამო" (კიევი) — „შახტიორი" (დონეცკი) — 1:1

„შინიკი" (იაროსლავლი) — „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) — 0:1

„კაირატი" (ალმა-ატა) — სკა (როსტოვი) — 0:0.

# საჭირო ორი ქულა

კიშინიოვი. რესპუბლიკური სტადიონი. 2 ივლისი.

„მოლდოვა" (კიშინიოვი) — „ტორპედო" (ქუთაისი) — 0:1 (0:1).

„ტორპედო": ურუშაძე, ლოსაბერიძე, ნიშნიანიძე, სიამაშვილი, ოდიკაძე, კუტივაძე, სარჯველაძე, ავალიანი (სირაძე), ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ხაბაძე.

„მოლდოვა": ვებერი, აფონინი, ლარინი, კოლბასიუკი, კრასნოვი, ...ცანი, გორშკოვი, პაპელიშვილი, ვოლოსტნიხი, ცინკლერი, შიმანოვიჩი.

მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

აღნიშნული ტურის მატჩს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია გადავხედოთ გათამაშების ცხრილს: ...ივლისისათვის „მოლდოვას" ჰქონდა 10 ქულა და აუტსაიდერთან საკუთარ მოედანზე 2 ქულის აღების შემთხვევაში იგი არა თუ ტოვებდა სახიფათო ზონას, არამედ მჭიდროდ უახლოვდებოდა ლიდერთა ჯგუფს. ამიტომ კიშინიოველი ფეხბურთელები იდგნენ მატჩის მოგების აუცილებლობის წინაშე. რაც შეეხება ქუთაისელებს, მათი ადრინდელი დანაკარგი შეუძლებელს ხდიდა ახალ დამარცხებას. „ტორპედოსათვის" თვითეულ ქულას ახლა ოქროს ფასი აქვს.

ქუთაისელებმა წარმატებით შეასრულეს მთავარი ამოცანა: დაცვამ შეძლო მოგერიებოდა მეტოქის ძლიერ იერიშებს, რომელიც მან დასაწყისში განავითარა. შემდგომში თამაში გათანაბრდა და მალე შეტევაში ჩაებნენ სტუმრების ფორვარდებიც. ჩხარტიშვილმა მიიღო გადაცემა მინდვრის სიღრმიდან, გაიდა კარის სიახლოვეს და ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში — 1:0. „ტორპედომ" შეინარჩუნა ეს ანგარიში და მიაღწია ძალზე დიდმნიშვნელოვან გამარჯვებას.

ტორპედოელებმა მოიგეს დუბლიორთა მატჩიც — 3:1.

ვ. გოგაჩოვი

### „ბ" კლასი

„დინამო" (კიროვაბადი) — „ალაზანი" (გურჯაანი) — 1:0

მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის შედგა კიროვაბადში. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და გურჯაანის „ალაზანი".

მასპინძლებმა გამარჯვებას მიაღწიეს მინიმალური ანგარიშით—1:0.

# სარბიელი — ახალგაზრდა ფეხბურთელებს!

## „იმედის თასი"

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შარშან დააწესა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი შეჯიბრება, რომელსაც სახელიც ასეთივე საგულისხმო შეერქვა — „იმედის თასი". ახალმა ტურნირმა, რომელშიც მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელები მონაწილეობენ, თავიდანვე მოიპოვა დიდი პოპულარობა სპორტულ საზოგადოებრიობაში.

წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება აქვთ ჭაბუკებს, რომლებიც დაბადებული არიან 1946 (არა უადრეს 1 სექტემბრისა), 1947-48-49 წლებში. დებულების ამ პუნქტს აქვს ერთი მეტად საყურადღებო დეტალი: ტურნირში ვერ ითამაშებს ფეხბურთელი, თუ მას არა აქვს საშუალო განათლება, ან არსად სწავლობს.

„იმედის თასი" ეტაპობრივი შეჯიბრებაა. პირველი ეტაპი ესაა შესარჩევი თამაშები, მეორე — ზონალური ასპარეზობა, მესამე — ფინალი.

შეჯიბრების პირველ ეტაპად ითვლება რაიონებში, ქალაქებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარებული კალენდარული თამაშები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სპორტსაზოგადოებათა, ოსტატთა კოლექტივებთან არსებული ახალგაზრდა ფეხბურთელთა მოსამზადებელი ჯგუფების, სპორტული კლუბების, ფიზიკური კულტურის კოლექტივებისა და ა. შ. გუნდებს შორის. ესაა მასობრივი შეჯიბრება, რომელიც გულისხმობს თამაშებში ახალგაზრდა ფეხბურთელთა ფართო მონაწილეობას.

რაც შეეხება თასის მეორე ეტაპს, აქ გამოდიან მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები, რომლებიც დაყოფილი არიან 5 ზონად. საქართველოს ფეხბურთელები მოხვდნენ III ზონაში მოლდავეთისა და რსფსრ-ის გუნდებთან ერთად. როგორც წესია, გათამაშება ზონებში ორ წრედ წარმოებს (მატჩები — მეტოქისა და საკუთარ მინდვრებზე).

რაც შეეხება ფინალს, მისი ჩატარების ადგილს გადაწყვეტს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია.

შეჯიბრების მეორე ეტაპზე ორ გუნდს თუ ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდა, მათს შორის ადგილები გაირკვევა გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით, მაგრამ ფინალში I ადგილის გარკვევა ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში მოხდება მხოლოდ დამატებითი მატჩის მეშვეობით. და თუ გამარჯვებული ამ მატჩმაც ვერ გამოავლინა, ორივე გუნდს ეძლევა 5-5 პენალტის დარტყმის საშუალება. ვინც უკეთესად შეასრულებს 11-მეტრიან საჯარიმოებს, თასიც მას დარჩება.

თამაშების ხანგრძლიობა „იმედის თასზე" განისაზღვრება 80 წუთით (შესვენება ტაიმებს შორის 10 წუთი). თვითეულ გუნდს თამაშის მსვლელობაში უფლება აქვს შეცვალოს მინდვრის 3 მოთამაშე და 1 მეკარე.

დებულებაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ახალგაზრდა სპორტსმენთა ეს ტურნირი უნდა ჩატარდეს მაღალ სპორტულ და სანახაობით დონეზე. მკაცრი ზომები იქნება მიღებული არა მარტო იმ ფეხბურთელთა მიმართ, რომლებიც უხეშობას და უწესობას დაუშვებენ მინდორზე, არამედ იმ ხელმძღვანელთა მიმართაც, ვინც სათამაშოდ გამოიყვანს განუცხადებელ ან დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს. ასეთ შემთხვევაში საკითხს განიხილავს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია.

ფინალში გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება „იმედის თასით", ხოლო I-V ადგილებზე გამოსული კოლექტივები — სპეციალური ვიმპელებით და სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს მოწმობებით.

„იმედის თასის" გათამაშება იწყება ივლისში. მეორე წრის მატჩები ჩატარდება სექტემბერ-ოქტომბერში. თასის ფინალი ზონებში გამარჯვებულ ხუთ გუნდს შორის გაიმართება რომელიმე ერთ ქალაქში 18-29 ოქტომბერს.

## ახალი პრიზი — „სიჭაბუკე"

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა ახალი თასის გათამაშება ფეხბურთში ახალგაზრდა ფეხბურთელთათვის. შეჯიბრების მიზანია ნიჭიერი, პერსპექტიული მოთამაშეების შერჩევა და აღზრდა, ამიტომ მას სახელწოდებაც შესაფერისი შეერქვა — „სიჭაბუკე".

თასის მატჩებში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები, რომელთა შემადგენლობაში გამოდიან 1942-45 წლებში დაბადებული სპორტსმენები. გათამაშების დებულებით ეს ის ფეხბურთელებია, რომლებიც არ შედიან ოსტატთა გუნდებში.

შეჯიბრება მიმდინარეობს ორ ეტაპად — წინასწარი მატჩები და ფინალი. ზონებში გამარჯვებული 4 გუნდი ქმნის ფინალურ ჯგუფს, სადაც გადამწყვეტი შეხვედრები ჩატარდება 21-29 ოქტომბერს. ფინალის ჩატარების ადგილი დადგინდება ცალკე.

გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება გარდამავალი პრიზით, ხოლო ფინალის ყველა მონაწილე — სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს ვიმპელებით და მოწმობებით.

## ჩემპიონატის კალენდარი

მეორე ჯგუფი, II ქვეჯგუფი

ივლისი

4. „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე), „ტრუდი" (ვორონეჟი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), „ალგა" (ფრუნზე) — „კარპატი" (ლვოვი), „შახტიორი" (ყარაგანდა) — სკა (ოდესა), **„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (თბილისი)**, „დინამო" (ტალინი) — „არარატი" (ერევანი), „სპარტაკი" (გომელი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი).

8. „ურალმაში" — სკა (ოდესა), „ტრუდი" — „კარპატი", „მეტალურგი" — „დნეპრი", „შახტიორი" — „ალგა", „ლოკომოტივი" მ. — „ტრაქტორი", **„დინამო" ტ. — „ლოკომოტივი" თბ.** „სპარტაკი" — „არარატი".

13. „არარატი" — „ალგა", **„ლოკომოტივი" თბ. — „შახტიორი"**, „ტრაქტორი" — „დნეპრი", „ურალმაში" — „კარპატი", „ტრუდი" — სკა (ოდესა), „ლოკომოტივი" მ. — „სპარტაკი", „დინამო" — „მეტალურგი".

18. „არარატი" — „შახტიორი", **„ლოკომოტივი" თბ. — „ალგა"**, „ტრაქტორი" — „მეტალურგი", „ტრუდი"—„ურალმაში", სკა (ოდესა)—„ლოკომოტივი" მ., „კარპატი" — „დინამო", „დნეპრი" — „სპარტაკი".

22. სკა (ოდესა) — „დინამო".

23. „არარატი" — „ურალმაში", **„ლოკომოტივი" თბ. — „ტრუდი"**, „ტრაქტორი"—„ალგა", „დნეპრი" — „ლოკომოტივი" მ., „მეტალურგი" — „შახტიორი", „კარპატი" — „სპარტაკი".

27. სკა (ოდესა) — „სპარტაკი".

28. „არარატი" — „ტრუდი", **„ლოკომოტივი" თბ. — „ურალმაში"**, „ტრაქტორი" — „შახტიორი", „დნეპრი" — „დინამო", „მეტალურგი" „ალგა", „კარპატი" — „ლოკომოტივი" მ.

## უძლიერესნი

ქუთაისში დამთავრდა ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. მირზოიანი (თბილისი), გ. გუდაძე, ა. თავდიდიშვილი, რ. კუპრაშვილი (სამივენი ქუთაისიდან), ი. ქავთარაძე (ბათუმი), ტ. სირბილაძე, გ. ჰელიძე (ორივენი თბილისიდან), ტ. ტყემალაძე (ჭიათურა), ტ. ქურციკიძე (ქუთაისი) და ა. ღუდუშაური (თბილისი).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისის სპორტსმენთა კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ქუთაისელი, ხოლო მესამეზე — ბათუმელი სპორტსმენები.

ლ. ფაჩუაშვილი

# რეზერვი ძალებს ცდის

ბათუმში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

დებულებით ამ ასპარეზობაში მონაწილეობა უნდა მიეღო 88 მოჭიდავეს, ბათუმში კი ჩამოვიდა 162. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის სპორტკავშირმა ჭაბუკთა შორის ჭიდაობის კიდევ უფრო მეტი პოპულარიზაციისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა წახალისების მიზნით, მხარი დაუჭირა მოჭიდავეთა ამ ენთუზიაზმს და შეჯიბრება ყოველგვარი შეფერხების გარეშე ჩაატარა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი თბილისის კოლექტივმა დაიკავა. მეორეზეა ქუთაისის გუნდი.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირად პირველობაში გაიმარჯვეს: გ. შონიასმა (ბათუმი), ბ. ბასიაშვილმა, ნ. თეთრუაშვილმა (ორივე თბილისიდან), ბ. რუხაძემ (ქუთაისი), შ. ფიცხელაურმა, თ. გომიაშვილმა (ორივე თბილისიდან). ს. ქარქიშვილმა (გორი), რ. კამალიანმა, შ. პაპაშვილმა (ორივე თბილისიდან), ზ. სინათიშვილმა (ქუთაისი).

შეჯიბრება დამთავრდა, მაგრამ ჩვენ გვინდა, ვისაუბროთ ერთ მტკივნეულ საკითხზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ასპარეზობის დროს.

## ხალიჩაზე სპორტსმენები, გარეთ კი... მწვრთნელები

ხშირად ვიყავით ასეთი სცენის მოწმენი: ხალიჩაზე ჭაბუკები ჭიდაობდნენ, ხალიჩის გარეთ კი... მწვრთნელები. ისინი დარბოდნენ სარბიელის გარშემო და ხმამაღლა აძლევდნენ მითითებებს თავიანთ აღსაზრდელებს. რჩევა-დარიგების ტონი სისტემატურად იცვლებოდა. იგი დამოკიდებული იყო ჭიდაობის მსვლელობაზე. კარნახი დამრიგებლური ტონიდან ხშირად მოჭიდავის ლანძღვა-გინებაში გადადიოდა.

განსაკუთრებით აქტიურობდნენ მწვრთნელები — ნადირაშვილი (თელავი), გოგიჩაიშვილი (ბათუმი) და სხვები.

ასეთი ცხარე გულშემატკივრობისთვის, რომელიც ხელს უშლიდა ასპარეზობის ნორმალურად ჩატარებას, მსაჯთა კოლეგიამ პირველობიდან მოხსნა ბათუმის გუნდის წარმომადგენელი გარუზაშვილი. მიუხედავად ამისა, იგი შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა თავისი აღსაზრდელების ორთაბრძოლებში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსაჯობიდან თავისუფალ დროს ზოგიერთი არბიტრი აშკარად უჭერდა მხარს ამა თუ იმ სპორტსმენს და ცდილობდა გავლენა მოეხდინა მსაჯთა გადაწყვეტილებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით ცოდავდა ცხინვალელი ა. ცხოვრებოვი.

ნ. ფოფხაძე

ჩვენი სპეც. კორ.

ბათუმი.

# ვ. შჩოგოლევი — მსოფლიო ჩემპიონი

მერანოში (იტალია) დამთავრდა მოშაშეთა ოლიმპიური ტურნირი. გაიფანტა პროგნოზების ბურუსი და ცნობილი გახდა მსოფლიოს ახალი ჩემპიონის — საბჭოთა დიდოსტატის ვ. შჩოგოლევის სახელი.

მიმომხილველები წინასწარმეტყველებდნენ სენეგალელი ბაბა სის გამარჯვებას, თუმცა საბჭოთა მოშაშეთა შესაძლებლობებსაც უსვამდნენ ხაზს. ბაბა სი მხოლოდ მესამე ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო კუპერმანი (სსრ კავშირი) — მეორეზე.

მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ვ. შჩოგოლევი 23 წლისაა. შაშის თამაში ისწავლა 9 წლის ასაკში უფროსი ძმისგან. სწორედ ამ დროიდან მეცადინეობდა იგი თეორიის დასაუფლებლად მოსკოვის „ნორჩი დინამოელის" სტადიონთან არსებულ მოშაშეთა წრეში, რომელსაც ოსტატი მ. კურნოსოვი ხელმძღვანელობდა. გამოცდილმა მწვრთნელმა სისტემატური მეცადინეობით თავისი აღსაზრდელი დიდ სარბიელზე გამოიყვანა. 17 წლის შჩოგოლევი მოსკოვის ჩემპიონი და სპორტის ოსტატი ხდება, 18 წლისა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ხოლო 19 წლისა — მსოფლიო ჩემპიონი და საერთაშორისო დიდოსტატი.

ასუჯრიან ანუ საერთაშორისო შაშში ათეული წელია მოქმედებს მსოფლიო პირველობის თავისებური სისტემა. ყოველ ნაკიან წელს ეწყობა დიდი ოლიმპიური ტურნირი, სადაც პირველ ადგილზე გამოსულს მსოფლიო ჩემპიონის სახელი ენიჭება. შემდეგ წელს ახალი ჩემპიონი ვალდებულია მატჩ-რევანშში შეხვდეს წინა მსოფლიო ჩემპიონს და დაამტკიცოს თავისი უფლებები.

ვ. შჩოგოლევმა წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა და მიწვეულ იქნა დიდ ოლიმპიურ ტურნირში.

— სლავა ენერგიული, შრომისმოყვარე ახალგაზრდაა, — ამბობს მისი მწვრთნელი. — მხიბლავს მისი საღი, კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი შემოქმედებისადმი. რაც მთავარია, თავდავიწყებამდე უყვარს შაში.

მსოფლიო ჩემპიონი ამჟამად სწავლობს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პირველ კურსზე. ადრე მან დაამთავრა ჟურნალისტიკის ორწლიანი კურსი და ახლა გაზეთ „ვეჩერნი მოსკვაში" შაშის განყოფილებას ხელმძღვანელობს.

ვ. შჩოგოლევი 1961 წლის გაზაფხულზე ესტუმრა საქართველოს. თბილისსა და ბათუმში იგი შეხვდა შაშის მოყვარულებს. მაშინ მან მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდა ქართველ მოშაშეს თ. ბარამიძეს, რომელიც ორი წლის შემდეგ შაშის პირველი ქართველი ოსტატი გახდა.

ნ. ჟელიძე

# წინაა გადამწყვეტი მატჩები

ბათუმი. (ტელეფონით). აქ გრძელდება კალათბურთელთა რესპუბლიკური პირველობა. ორიოდე დღის წინ უნდა გარკვეულიყო ფინალური ასპარეზობის მონაწილე გუნდები, ამიტომ განსაკუთრებულ ინტერესს ფავორიტთა შეხვედრები იწვევდა (ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ შესარჩევი თამაშების შედეგები დასკვნით ასპარეზობაშიც ჩაითვლება).

ქალთა შორის პირველობის მთავარმა პრეტენდენტებმა—თბილისის უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებმა ადვილად დაამარცხეს შესაბამისად „ნორჩი დინამოელი" (44:26) და სამტრედიის ნაკრები (38:25).

პრინციპულ დონეზე ჩატარდა ქუთაისისა და აჭარის გუნდების შეხვედრა. პირველ ტაიმს მასპინძლები იგებდნენ 11 ქულით. შემდეგ მათ დათმეს ინიციატივა, რის გამოც გამარჯვება (36:32) და ფინალში მონაწილეობის უფლება ქუთაისელ კალათბურთელებს დაუთმეს. ამრიგად, ქალთა ფინალურ ტურნირში ითამაშებენ თბილისის გუნდები: უნივერსიტეტი, ფიზკულტურის ინსტიტუტი და „ნორჩი დინამოელი", აგრეთვე ქუთაისის ნაკრები.

ვაჟთა შორის ჩემპიონის სახელისათვის მებრძოლთა ვინაობა ადრე გაირკვა. ამიტომ დარჩენილი შეხვედრები ფაქტიურად ფინალურ ბრძოლებს წარმოადგენდა. აჭარისა და ქუთაისის ქალთა გუნდების მატჩის დროს წამოსულმა ძლიერმა წვიმამ მსაჯთა კოლეგიას ვაჟთა შეხვედრების ღია მოედანზე ჩატარების საშუალება არ მისცა. დარბაზის მოუმზადებლობამ და მისმა მცირე გაბარიტებმა კი შეუძლებელი გახადეს შეხვედრების ნორმალურად ჩატარება. გათამაშების კალენდარში მთელი რიგი გადაჯგუფებები მოხდა.

აჭარის გუნდმა ძნელ, მაგრამ დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია ფიზკულტურის ინსტიტუტთან. 35-ე წუთზე მასპინძლები 4 ქულას იგებდნენ, საფინალო სასტვენის ხმაზე კი ანგარიშში სხვაობამ 16 ქულას (76:60) მიაღწია. საინტერესო იყო მეორე ფინალური წყვილის — უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა. 71:55 გაიმარჯვეს უნივერსიტეტელებმა.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ქალები — უნივერსიტეტი — გორი — 95:26, აჭარა — სამტრედია — 46:33, ქუთაისი — ფიზკულტურის ინსტიტუტი — 37:48, „ნორჩი დინამოელი"—აფხაზეთი — 47:39, გორი — აფხაზეთი — 26:50.

ვაჟები — უნივერსიტეტი — გორი — 88:34, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — აფხაზეთი — 68:56, ფოთი — აჭარა — 53:138, ფიზკულტურის ინსტიტუტი — ქუთაისი — 80:52.

ნ. მუშკუდიანი,
ო. მურვანიძე.



ყაზანის მეთვრამეტე საშუალო სკოლის მერვეკლასელმა ვ. სემიონოვმა დაამზადა დგუშისძრავიანი ვერტმფრენის მოდელი, რომელმაც ჰაერში დაჰყო 20 წუთი და 32 წამი. ამ პერიოდში მოდელმა იფრინა 4400 მეტრზე. ეს შედეგი ჭაბუკ ავიამოდელისტთა ახალი საკავშირო რეკორდია.

სურათზე: ვ. სემიონოვი (მარცხნიდან პირველი) ახალ მოდელს ამზადებს ზონალური შეჯიბრებისთვის.

ფოტო ბ. მიასნიკოვისა (საკდესი).

# ძმები ზნამენსკების პრიზზე

ეს მოხდა 30 წლის წინათ მოსკოვში. ქარხანა „სერპ ი მოლოტის" მოედანზე თავშეყრილნი აბარებდნენ მშთ ნორმატივებს. ერთ-ერთ გარბენში 1.000 მეტრზე ყველას გაუსწრო ორმა ჭაბუკმა, რომლებმაც იმ დროისათვის საუკეთესო დრო აჩვენეს.

როცა მორბენლებმა მსაჯების გაოცება შეიტყვეს, მათ გადაწყვიტეს ხელახალი გარბენით დაემტკიცებინათ თავიანთი სიმართლე და წამმზომებმა ისევ აღნიშნეს შესანიშნავი დრო — 2.48,0, უკეთესი, ვიდრე პირველ გარბენში. ძმების სერაფიმ და გიორგი ზნამენსკების გასწვრივ მშთ ნორმატივების ჩაბარების ბარათში ჩაიწერა — „ჩაბარებულია"...

ზნამენსკების სახელთან დაკავშირებულია არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება სამამულო მძლეოსნობის ომამდელ პერიოდში. დაუღალავი შრომით, სისტემატური ვარჯიშით მათ მიაღწიეს ბრწყინვალე მაჩვენებლებს: სერაფიმის ანგარიშზე იყო საკავშირო რეკორდები 1.500, 2.000, 3.000, 5.000 და 10.000 მეტრზე რბენაში (ერთი მათგანი — რეკორდი 3.000 მეტრზე რბენაში დამყარებული იქნა თბილისში 1935 წლის ოქტომბერში გამართულ შეჯიბრებაზე). უფროსმა ძმამ გიორგიმ სამჯერ დაამყარა ჩვენი ქვეყნის რეკორდი სტაიერულ დისტანციებზე.

ზნამენსკებს კარგად იცნობდნენ საფრანგეთში, ფინეთში, ბელგიაში, ჩეხოსლოვაკიაში. ათასობით მაყურებელი იყრიდა თავს ვენსენის ტყეში, როცა სახელოვანი ძმები ძალებს ცდიდნენ საფრანგეთის კომუნისტთა გაზეთ „იუმანიტეს" პრიზზე გამართულ კროსებში.

შესანიშნავი სპორტსმენების ხსოვნის აღსანიშნავად 1958 წლის 6-7 ივლისს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე პირველად გაიმართა დიდი საერთაშორისო მძლეოსნური შეჯიბრება. მაშინ მასპინძელთა გარდა ტურნირში მონაწილეობდა უცხოეთის ქვეყნების 70 სპორტსმენიც. მას შემდეგ შეჯიბრება ძმები ზნამენსკების პრიზზე ტრადიციული გახდა, და იგი მტკიცედ დამკვიდრდა მძლეოსნობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის (იაამფ) ღონისძიებათა კალენდარში.

წელს, 4 და 5 ივლისს, მოსკოვში მოეწყობა პრიზის მეშვიდე გათამაშება, მოსალოდნელია, რომ ამჯერად ტურნირზე თავს მოიყრის საზღვარგარეთის ასამდე და საბჭოთა კავშირის 400-ზე მეტი სპორტსმენი. მემორიალში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ავსტრიის, ინგლისის, ბელგიის, ბულგარეთის, გდრ-ის, იტალიის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, საფრანგეთის, ფინეთის, იუგოსლავიისა და ა. შ. ქვეყნების ფედერაციებმა. საზღვარგარეთელ სტუმრებს შორის იქნებიან იტალიელები — ევროპის ჩემპიონი სპორტულ სიარულში ა. პამიჩი და ევროპის რეკორდსმენი 200 მეტრზე რბენაში ს. ოტალინა, ბულგარელი ბადროს მტყორცნელი ვ. მიხაილოვა, მსოფლიოს რეკორდსმენი 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, ბელგიელი გ. რულანტსი, კუბელი სპრინტერი ე. ფიგეროლა, რომელმაც ამ დღეებში 100 მეტრზე რბენაში 10,1 წამი აჩვენა.

საბჭოთა სპორტსმენებიდან გამოვლენ ოლიმპიური ნაკრების წევრები ვ. ბრუმელი, ი. ტერ-ოვანესიანი, დები თ. და ი. პრესები და სხვა გამოჩენილი ოსტატები. საბჭოთა მძლეოსნებისათვის ეს შეჯიბრება ამავე დროს იქნება შერჩევითი ტურნირი „გიგანტთა მატჩისათვის". როგორც ვარაუდობენ, მატჩი ამერიკელებთან უნდა მოეწყოს მიმდინარე თვის მეორე ნახევარში ლოს-ანჯელოსში. ეს ღონისძიებანი ფაქტიურად გადამწყვეტი ეტაპებია ტოკიოს ოლიმპიადისთვის მზადებაში.

ზ. ხაჭაპურიძე

მოსკოვი.

# აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი...

▲ ვარშავა. პოლონეთი გაცხოველებით ემზადება ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისათვის. კრივის ეროვნულმა ფედერაციამ შეადგინა 40-კაციანი ნაკრები, რომელიც სპეციალურ ოლიმპიურ ბაზაზე გაივლის წვრთნას. კანდიდატთა შორის მოხვდნენ რინგის ცნობილი ოსტატები: ბენდინგი, კულეი, კასპიშიკი, ვალასეკი, პეტშიკოვსკი და სხვანი.

▲ სოფია. ბულგარეთისა და იუგოსლავიის ჭიდაობის ფედერაციებმა გამოაქვეყნეს ნაკრები გუნდების სია კლასიკურ ჭიდაობაში. აი ისინიც: ბულგარეთი — ა. კრესტევი, ა. პავლოვი, ფ. ველიკოვი, ვ. ასენოვი, გ. ალექსანდროვი, მ. ზარევი, პ. ილკოვი, ნ. მარინოვი; იუგოსლავია — ვიდა კოვიჩი, ფორგო, ტოტი, მატინოვიჩი, ხორვატი, სუსიჩი, ჩორაკი, ჩიტაკოვიჩი.

▲ გრონინგენი. ჰოლანდიისა და დიდი ბრიტანეთის მოცურავეთა მატჩზე ნაჩვენები იქნა რამდენიმე საერთაშორისო კლასის შედეგი. ჰოლანდიის ქალთა გუნდმა კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 4.39,1. ჰოლანდიელთა უპირატესობით აღინიშნა ქალთა კომპლექსური ცურვა 400 მეტრზე. გ. ჰეიკელსმა აღნიშნული მანძილი 5.30,8 წამში გაცურა. მატჩი მოიგეს ჰოლანდიელებმა 140:110.

▲ ოსლო. „ბიშლეტის" სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე სტუდენტმა ტ. პედერსენმა შუბი ტყორცნა 87,12 მეტრზე, რაც 38 სანტიმეტრით აღემატება იტალიელ კ. ლევორეს ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს, რომელიც დამყარებულ იქნა 1961 წელს.

▲ ჰენლეი (დიდი ბრიტანეთი). აქ წარმატებით გამოდის სპორტსაზოგადოება „ქალგირისის" „ოქტეტი". საბჭოთა ნიჩბოსნებმა ამერიკელ სპორტსმენებთან ბრძოლაში პირველებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი და გაიმეორეს ტრასის რეკორდი.

# მიუწვდომელი

რუმინელი ი. ბალაშის სახელი 14-ჯერ არის მოხსენებული მსოფლიო რეკორდების ცხრილში ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში. ბალაშს აქვს სხვა თავისებური რეკორდებიც. მან 74-ჯერ დაძლია 180 სანტიმეტრი! საინტერესოა ისიც, რომ რუმინელი სპორტსმენი შესანიშნავ შედეგებს აჩვენებს არა მარტო საკუთარ მოედანზე, არამედ საზღვარგარეთაც, კერძოდ, 180 სანტიმეტრი სიმაღლე მან 33-ჯერ დაიმორჩილა სამშობლოში და 41-ჯერ 15 სხვადასხვა ქვეყნის სტადიონებზე. ი. ბალაში მიუწვდომელია ყველა კონკურენტისთვის და მას ტოკიოს ოლიმპიადის ოქროს მედლის ძირითად კანდიდატად ასახელებენ.






● კორვალისი (აშშ). მიმდინარე სეზონში სამმა ამერიკელმა მძლეოსანმა გადალახა 8-მეტრიანი ზღვარი ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში და ადგილი დაიმკვიდრა ოლიმპიურ ნაკრებში. მათ ამ დღეებში გამოუჩნდა ახალი კონკურენტი 25 წლის გ. მურის სახით. აქ გამართულ შეჯიბრებაზე იგი გადახტა 8,01 მეტრზე. აქვე 22 წლის ჯ. ბეტზიმ 110 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა კარგი დრო — 13,7 წამი.

● ბუდაპეშტი. მსოფლიოში სეზონის ერთერთ საუკეთესო შედეგს მიაღწია უნგრეთის ოლიმპიური ნაკრების წევრმა შ. ეკშმიდტმა. მან ურო ტყორცნა 67 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე.

● ოლდენბურგი. აფრიკელმა (ნიგერია) მძლეოსანმა ქალებმა კ. ანოტუმ და ა. ოკულიმ შესანიშნავი შედეგები აჩვენეს. პირველმა 100 მეტრი გაირბინა 11,6 წამში, მეორემ დაძლია 167 სანტიმეტრი სიმაღლე.

● ბერლინი. ევროპის საუკეთესო ჭოკით მხტომელთა რიგებს შეემატა 26 წლის კ. ლენერტცი. მან ამ დღეებში დაძლია 4 მეტრსა 85 სანტიმეტრის სიმაღლეზე მდებარე თამასა.

● ბუდაპეშტი, 3 ივლისი. უნგრელმა ლასლო პაპმა კვლავ დაიცვა ევროპის ჩემპიონის ტიტული პროფესიულ მოკრივეთა შორის. პაპი შეხვდა დანიელ კრისტიანსენს და მეოთხე რაუნდში ნოკაუტით მოიგო ბრძოლა.

● ტოკიო. იაპონიის ტანვარჯიშულმა ასოციაციამ გამოაცხადა ვაჟთა და ქალთა გუნდების შემადგენლობანი ოლიმპიური თამაშებისათვის. გუნდებს სათავეში უდგანან ი. ენდო და კ. იკედა.

ვაჟთა ნაკრებში შევიდნენ: ოლიმპიური ჩემპიონი ი. ენდო (27 წლისა), ტ. მიცუკური (25), ს. ცურუმი (26), 1963 წლის უნივერსიადის პრიზიორი ტ. ხაიატა (23), მსოფლიოს ჩემპიონი ხ. იამასიტა (25) და იაპონიის ტანვარჯიშის ვეტერანი ტ. ონო (32).

ქალთა შორის გამოვლენ: კ. იკედა (30), ტ. აიხარა (25), კ. ონო (28), გ. ტიბა (26), ხ. ცუინი (25), ტ. ნაკამურა (21).

● რომი. ფილატელიაში ერთ-ერთი გრანდიოზული გამოფენა — „ტოკიო, 1964" გაიხსნა სპორტის სასახლეში „პალაცო დელო სპორტი". აქ წარმოდგენილია ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი 2 მილიონზე მეტი მარკა. გამოფენაში მონაწილეობს 21 ქვეყანა. ასეთი გამოფენა პირველად მოეწყო.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

## თბილისის სპორტულ გაზეთზე

**4 ივლისი**

ფეხბურთი. „სიჭაბუკის" თასის საკავშირო გათამაშება. საქართველო (ნაკრები) — მოლდავეთი (ნაკრები). „ბურევესტნიკის" სტადიონი. დასაწყისი 18 ს.

ჭადრაკი. ამიერკავკასიის პირველობა უსინათლოთა შორის. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. დასაწყისი 11 ს.

სასტენდო სროლა. 5—7 ივლისი. საქართველოს პირველობა მოზრდილთა და ჭაბუკთა შორის. „მონკავშირის" სტენდი. დასაწყისი 10 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.



ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01273